



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №040/20<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ქრისტინე თოლორდავა (სტუდენტი)*

### ფაქტები

საჩივრის ავტორის (მ.ზ.) განმარტებით, ადვოკატი ნ.ს. იცავდა მისი მოწინააღმდეგე მხარის (ნ.გ.) ინტერესებს. გარდა ამისა, ადვოკატი ნ.ს. იცავდა მ.ზ.-ს ოჯახის წევრის (ი.ბ.) ინტერესებსა და მოწინააღმდეგე მხარის (ნ.გ.) ინტერესებს ერთდროულად. ი.ბ. არის ფსიქიკურად დაავადებული და მას ფაქტობრივ მეურვეობას მ.ზ. უწევს, თუმცა მას დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი არღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს. მ.ზ.-ს ნ.გ.-სთან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა, რომელიც მოიცავდა ბინის იპოთეკით დატვირთვას. ეს ბინა მ.ზ.-ს შეძენილი ჰქონდა ი.ბ.-სგან. ადვოკატ ნ.ს.-ს რჩევით, საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ.გ.-სთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნ.გ. დაუბრუნებდა ბინას მ.ზ.-სგან ფულის დაბრუნების სანაცვლოდ. ნ.გ.-მ მას გადასცა 21 000 დოლარი, თუმცა ბინაში ცხოვრობდა ი.ბ. , ამიტომ მ.ზ.-ს განმარტებით, ნ.ს.-ს დაუთმო საკუთარი საცხოვრებელი ფართი. მ.ზ. აცხადებს, რომ ნ.გ. უარს ამბობს ბინის უკან დაბრუნებაზე. მოწმე მ.ჯ.-ს განმარტებით, მ.ზ.-ს სურდა ახლობლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაგირავება. ადვოკატი ნ.ს. მიუთითებს, რომ ნ.გ. არის ბავშვობის მეგობარი და თანაქალაქელი, რომელიც ეძებდა ბინას და მიების პროცესში შეხვდა მ.ზ.-ს. მისგან ნ.გ.-მ შეიძინა სარდაფი და ზეპირად დაჰპირდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას იმ ბინაზე, რომელიც ჯერჯერობით არ იყო რეგისტრირებული მ.ზ.-ს სახელზე. ადვოკატ ნ.ს.-ს განმარტებით, აღნიშნულ პროცედურებში არ მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი, ვინაიდან ნ.გ.-ს თავად ჰქონდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების დადების გამოცდილება. ნ.ს. ადვოკატად მაშინ ერთვება საქმეში, როდესაც მ.ზ. საგამომიებო ორგანოს მიმართავს ნ.გ.-ს გამოსახლების მოთხოვნით. რაც შეეხება ი.ბ.-ს, ის ადვოკატმა, თავისივე განმარტებით, გაიცნო სარდაფის ყიდვისას და ი.ბ.-მ სთხოვა სამართლებრივი დახმარება. ადვოკატი მიუთითებს, რომ იცავს კონფიდენციალობის პრინციპს და შესაბამისად, არ არღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს.

### სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ.ს.-ს მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლისა და აპკ-ის 6.1 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე. კოლეგიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება მაშინ, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები არსებული ან ყოფილი კლიენტის მიმართ ან ადვოკატის პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება არსებული ან ყოფილი კლიენტების ინტერესებს ან აუარესებს მათ მდგომარეობას. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს ყოფილი კლიენტის ნდობა და არ დაუშვას მისგან მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე, სხვა პირთა ინტერესების ხარჯზე. კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატ ნ.ს.-ს და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების და მ.ზ.-ს ინტერესების დაცვის განხორციელებაზე. ასევე, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ მ.ზ.-ს სასარგებლოდ განხორციელებულ რაიმე სახის სამართლებრივ მოქმედებას. ასევე კოლეგიამ

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/60a4d8f226860.pdf/040.20%20ar%20agdzvra%2014.08.2020.pdf>

განმარტა, რომ მ.ზ. არ არის უფლებამოსილი განმცხადებელი ადვოკატ ნ.ს.-ს მიერ საჩივრის ავტორის ოჯახის წევრის - ი.ბ.-ს და მისი მოწინააღმდეგე მხარის (ნ.გ.) ინტერესების დაცვისას ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დარღვევის თაობაზე. ნ.ს.-ს მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში წარმოშობილ პრეტენზიებზე უფლებამოსილი განმცხადებელი შეიძლება იყოს ადვოკატ ნ. ს.-ს კლიენტი. გარდა ამისა, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს ი. ბ.-სთან მ. ზ.-ს ოჯახურ ან რაიმე სახის კავშირს. თავად საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ი. ბ. არის ფსიქიკურად დაავადებული პირი, მასზე მზრუნველობა აღებული აქვს მას, მაგრამ არ აქვს მზრუნველობის დამდგენი დოკუმენტი. შესაბამისად, მ. ზ.-ს არ აქვს უფლებამოსილება წარმოადგინოს ი. ბ.-ს ინტერესები. უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტის არსებობის პირობებშიც კი პრეტენზიის განხილვა ვერ მოხდება მოცემული დისციპლინური საქმის ფარგლებში.

### **დასკვნა**

ადვოკატ ნ.ს.-ს მიერ არ დადგინდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევა და არ აღიძრა დისციპლინური დევნა.